

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფუნდამენტური ფიზიკის  
მაგისტრანტის

გაგა ლურსმანაშვილის სამაგისტრო ნაშრომი:

## ვექტორული მეზონების დაბადების შესწავლა NICA კოლაიდერზე

ხელმძღვანელები:

ალექსანდრე მაჭავარიანი: ქ.დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული  
ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი; თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის  
ინსტიტუტის ჰადრონთა ფიზიკის ჯგუფის კონსულტანტი.

რევაზ შანიძე: თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი  
მეცნიერ თანამშრომელი.

თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

თბილისი 2019

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილული იყო ვექტორული მეზონების დაბადება NICA კოლაიდერზე. NICA პროექტის ძირითადი ამოცანაა ჰადრონული მატერიის შესწავლა ბარიონული სიმკვრივის მაქსიმალურ მნიშვნელობებზე და ჰადრონების სპინის სტრუქტურის გამოკვლევა. ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ეთმობა ვექტორული მეზონების და ლეპტონური წყვილების (დილეპტონების) შესწავლას. ნაშრომში დეტალურად იყო განხილული  $\rho$ -მეზონების და დილეპტონების დაბადების თეორიული მოდელები პროტონ-პროტონულ და ბირთ-ბირთულ ურთიერთქმედებებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვექტორული მეზონების დომინანტობის მოდელს (VMD), რომლის ფარგლებში მიღებული იყო ვექტორული მეზონების დაბადების ინკლუზიური რეაქციის  $p + p \rightarrow \rho + X$  დიფერენციალური კვეთა და სიმკვრივის მატრიცა. სიმკვრივის მატრიცა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რეაქციის შესაბამისი ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც ჰადრონულ მატერიასა და ნაწილაკის პოლარიზაციას ახასიათებს.

## Abstract

The master thesis considers vector meson production at the NICA collider. Main aim of the NICA project is the study of the hadronic matter at the maximum baryon density and investigation of the spin structure of the hadrons. Vector meson and lepton pair (dilepton) production plays very important role in these studies. Models of  $\rho$ -meson and dilepton production in proton-proton and nucleus-nucleus interactions were considered in this thesis. In particular VMD (Vector Meson Dominance) model was studied. In this model differential cross-section and density matrix was obtained for  $p + p \rightarrow \rho + X$  process. With a help of the density matrix it is possible to define physical parameters of this reaction, for example polarization and other characteristics of the hadronic matter.

## სარჩევი

v	შესავალი	3
1	ვექტორული მეზონის დომინანტობის (VMD) მოდელი და $A + B \rightarrow V + X$ რეაქციის კვეთის განსაზღვრა	9
1.1	სიმკვრივის მატრიცა (VMD) მოდელის მიხედვით	11
2	$A + B \rightarrow X + V \rightarrow Xef$ პროცესის დიფერენციალური კვეთის განმარტება	17
2.1	სიმკვრივის მატრიცა	21
2.2	კუთხური განაწილების ფუნქცია	23
3	ვექტორული მეზონების სპინების განლაგება $A+A$ შეჯახებისას	28
4	დილეპტონის წარმოქმნა ვექტორული მეზონის დომინანტობის მეთოდით	31
4.1	ფოტონის პროპაგატორი	31
4.2	ფოტონის საკუთარი ენერგია და ვექტორული მეზონის დომინანტური მეთოდი	35
5	დროზე დამოკიდებულება პროპაგატორი	37
vi	დასკვნა	40
vii	ლიტერატურა	41

## შესავალი

ნაწილაკების ფიზიკის სტანდარტული მოდელის მიხედვით, რომელიც ბუნების ფუნდამენტურ ნაწილაკებს და მათ შორის არსებული ძლიერ, ელექტრომაგნიტურ და სუსტ ურთიერთქმედებებს აღწერს, სამყაროში არსებული ხილული მატერია აგებულია კვარკებისა და ლეპტონებისგან. ამ ფუნდამენტური ნაწილაკების სპინი ტოლია  $\frac{1}{2}$ , ე.ი. ისინი ფერმიონებს მიეკუთვნებიან. ამასთან, კვარკები ხასიათდებიან სამი შესაძლო ფერით, მაშინ როცა მათგან შედგნილი ნაწილაკები უფერო ობიექტებია. სამყაროს ხილული მასის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ბარიონებში, რომლებიც შედგებიან სამი კვარკისაგან. კვარკული მატერიის ურთიერთქმედება კვანტური ქრომოდინამიკით (QCD) აღიწერება. ამ თეორიის მიხედვით კვარკებს შორის ძლიერი ურთიერთქმედების გადამტანები არიან ვექტორულ უმასო ნაწილაკები – გლუონები. როგორც აღვნიშნეთ, კვარკებისგან შედგნილი სისტემები ბარიონები და მეზონები უფერო ობიექტებია.

ბარიონული მატერია ატომის ბირთვში პროტონების და ნეიტრონების სახით არის წარმოდგენილი. ბარიონებში კვარკების ურთიერთქმედებას ახასიათებს ასიმპტოტური თავისუფლების თვისება, რაც საშუალებას გვაძლევს კვარკები ბარიონში თავისუფალ ნაწილაკებად განვიხილოთ, როდესაც მანძილი კვარკებს შორის ბარიონის ზომაზე ბევრად ნაკლებია. ასიმპტოტიკურ თავისუფლებასთან ერთად კვარკებს ახასიათებთ კონფაინმენტის თვისება, რაც ნიშნავს, რომ გარკვეულ მანძილზე ძლიერი ურთიერთქმედება ბარიონებში იმენად იზრდება, რომ კვარკებს არ შეუძლიათ თავისუფალ მდგომარეობაში გადასვლა. სწორედ ამ თვისების გამო, ფერადი მუხტის მატარებელი კვარკი თავისუფალ მდგომარეობაში არ არის დაკვირვებული.

ბარიონულ მატერია, ზემადალი სიმკვრივის ან/და მაღალი ტემპერატურის პირობებში უნდა გადავიდეს ახალ მდგომარეობაში, რომელიც ცნობილია კვარკ-გლუონური პლაზმის სახელით. კვარკ-გლუონური პლაზმა შესაძლებელია ზემკვრივი ასტროფიზიკური სხეულების (მაგალითად ნეიტრონული ვარსკვლავი) ცენტრალურ ნაწილში იყოს თავმოყრილი და მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს ასტროფიზიკური

სხეულების ევოლუციაში. დიდი აფეთქების კოსმოლოგიური თეორიის მიხედვით, კვარკ-გლუონური პლაზმა სამყაროს ევოლუციის საწყის ეტაპზე არსებობდა, როდესაც მატერიის მდგომარეობა დიდი სიმკვრივით და მაღლი ტემპერატურით ხასიათდებოდა. სიმკვრივისა და ტემპერატურის დაცემის შედეგად ეს მდგომარეობა ბარიონულ მატერიაში გადავიდა, რასაც დღეს ვაკვირდებით. კვარკ-გლუონური პლაზმის მდგომარეობა რთული შესასწავლია, როგორც თეორიულად ისე ექსპერიმენტულად. თეორიულ გამოთვლებს კვანტური ქრომოდინამიკის ფარგლებში ხელს უშლის ურთიერთქმედების სიძლიერე, რაც შეშფოთების თეორიის გამოყენების საშუალებას არ იძლევა. (გამოთვლები მესერზე და მოდელები).

ბარიონული მატერიის ზემკვრვი მდგომარეობების ექსპერიმენტული შესწავლა შესაძლებელია ნაწილაკების ამაჩქარებლებზე მძიმე ბირთვების ურთიერთქმედებებში. არსებობს თეორიული მინიშნება, რომ მაქსიმალური ბარიონული სიმკვრივის მიღწევა შესაძლებელია აჩქარებული ბირთვების ურთიერთქმედებებში, როდესაც ნუკლონზე მოსული ურთიერთქმედების ენერგია მასათა ცენტრის სისტემაში შეადგენს დაახლოებით 11 გევს. სწორედ ამ ენერგიაზეა გათვლილი მძიმე ბირთვების ახალი კოლაიდერი NICA (Nuclotron-based Ion Collider fAcility), რომელიც ამჟამად შენდება ქ.დუბნის (რუსეთი) ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში[1],[2]. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუტი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელშიც მრავალ ქვეყანასთან ერთად საქართველოც მონაწილეობს.

NICA – საერთაშორისო სამეცნიერო პროექტია, რომლის ძირითადი ამოცანებია ა) ცხელი და მკვრივი ბარიონული მატერიის შესწავლა იმ ენერგიებზე, რომლებიც მაქსიმალურ ბარიონულ სიმკვრივეს შეესაბამება, ბ) ნუკლონის სპინის სტრუქტურისა და პოლარიზაციის ფენომენის შესწავლა. ამ კოლაიდერზე შესაძლებელი იქნება რელატივისტური ბირთვების მიღება პროტონიდან ოქროს ბირთვებამდე. მასათა ცენტრის სისტემაში ნუკლონზე მოსული ურთიერთქმედების ენერგია ოქროს ბირთვების (Au) დაჯახებებში იქნება დაახლოებით 11 გევ-ი, ხოლო პროტონ-პროტონულ (p+p) ურთიერთქმედებებში დაახლოებით 27 გევ. ურთიერთქმედების შესწავლა მოხდება კოლაიდერის 2 დეტექტორის MPD და SPD საშუალებით[2]. პირველი, MPD დეტექტორი საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა ფარგლებში


შენდება. ამ თანამშრომლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი მონაწილეობს. ოქროს ბირთვების



ურთიერთქმედებებში საშუალო ნათებადობა იქნება  $10^{27}$  სმ<sup>-2</sup>წმ<sup>-1</sup>, ხოლო პოლარიზებული პროტონისთვის  $10^{32}$  სმ<sup>-2</sup>წმ<sup>-1</sup>. NICA კოლაიდერის სქემა და დეტექტორების განლაგება მოყვანილია სურათზე 1.

ექსპერიმენტ MPD-დეტექტორი სქემა მოყვანილია სურათზე 2<sup>1</sup>. სურათი-1. NICA – კომპლექსის სქემა – სქემაზე მოცემულია პროტონების და ბირთვების ამაჩქარებლები (Booster და Nuclotron), კოლაიდერი და მისი ორი ექსპერიმენტი MPD და SPD.

<sup>1</sup> სურათი 2. MPD დეტექტორი და მისი ძირითადი ნაწილები. დეტექტორი განლაგებულია ზეგამტარულ მაგნიტში. სურათზე აღნიშნულია მაგნიტის ზეგამტარული კოჭა (SC Coil) და მაგნიტის კრიოსტატი (Cryostat) და რკინის საფარი (Yoke). დამუხტული ნაწილაკების ტრაექტორიის (ტრეკები) აღდგენის დეტექტორები: TPC (Time Projection Chamber), IT (Inner Tracker) და GEM. ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი (ECAL). - სადაც გაიზომება მაღალი ენერჯიის ფოტონების და ელექტრონების ენერჯია. TOF (Time of Flight) დეტექტორი, რომელიც დამუხტული ნაწილაკების იდენტიფიკაციისთვის იქნება გამოყენებული. ZDC (Zero Degree Calorimeter) - სადაც მცირე კუთხზე დაბადებული ადრონები გაიზომება.



აღსანიშნავია, მძიმე ბირთვების ურთიერთქმედება კვარკ-გლუონური პლაზმის გამოკვლევის მიზნით შეისწავლება სხვადასხვა ამაჩქარებელზე. მაგალითად ბრუკჰაივენის (ა.შ.შ) რელატივისტური მძიმე იონების კოლაიდერი (RHIC) [3], სადაც ოქროს ბირთვების შეჯახებისას ნუკლონზე მოსული ენერგია მასათა ცენტრის სისტემაში შეადგენს 200 გევს. მძიმე ბირთვების ურთიერთქმედებებში ყველაზე დიდი ენერგია მიღებულია (CERN)-ის დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC) [4]. ტყვიის ბირთვების ურთიერთქმედებისას ნუკლონზე მოსული ენერგია LHC-ზე მიახლოებით 5 ტევს შეადგენს.

პროტონ-პროტონულ და რელატივისტური ბირთვების დაჯახებისას წარმოქმნილი სისტემის შესწავლა საჭიროა სხვადასხვა მეთოდით, რადგანაც კვარკ-გლუონური პლაზმის გამოვლენა ერთი რომელიმე მდგომარეობის შესწავლით შეუძლებელია. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია ვექტორული მეზონების ( $\rho, \omega, \phi, j/\psi$ ) დაბადების შესწავლა პროტონ-პროტონულ და ბირთ-ბირთვ ურთიერთქმედებებში. ამ ნაწილაკების დაბადებისა და დაშლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ის ადრონული გარემო და მისი ევოლუცია, რომელშიც მათი გენერაცია და დაშლები მიმდინარებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შედგება 5 თავისაგან.

**შესავალში** მოკლედ არის ჩამოყალიბებული სამაგისტრო ნაშრომში განხილული ამოცანა. მოყვანილია NICA კოლაიდერისა MPD დეტექტორის ძირითადი პარამეტრები, სადაც დაგეგმილი ნაშრომის შესრულებული თეორიული კვლევის ექსპერიმენტული შესწავლა.

**პირველ** თავში განხილულია დიფერენციალური კვეთა ვექტორული მეზონების დომინანტობის მოდელის მიხედვით

$$A + B \rightarrow V + X$$

რეაქციის მაგალითზე, სადაც გათვალისწინებულია პარტონული განაწილების ფუნქცია [5].

**მეორე** თავში განხილულია ინკლუზიური რეაქციები, სადაც გამოყენებული არაა პარტონული განაწილების პირობა. განხილულია პროტონ-პროტონის

$$A + B \rightarrow X + V \rightarrow Xef$$

ინკლუზიური გაფანტვის პროცესის შესაბამისი კვეთა [6].

2.1 ჩამოყალიბებულია სიმკვრივის მატრიცის თვისებები [7,8].

2.2 თავში განმარტებულია

$$\gamma + N \rightarrow V + N$$

რეაქციის შესაბამისი განაწილების ფუნქცია კუთხის მიხედვით [9] და განხილულია ასევე კუთხის მიხედვით განაწილების ფუნქცია

$$V \rightarrow \alpha + \beta$$

რეაქციისათვის [10].


**მესამე** თავში განხილულია A+A ბირთვების შეჯახების ამოცანის მაგალითზე, სიმკვრივის მატრიცის ელემენტების და კუთხის მიხედვით განაწილების ფუნქციის განსაზღვრა.

**მეთხე** თავში განხილულია ვირტუალური ფოტონის პროპაგატორის განსაზღვრის მეთოდი, იმისათვის რომ განისაზღვროს თერმული დილეკტონის წარმოქმნის სიგანე რომლიც, მიიღება განზოგადოებული ფუნქციების დისიპაციური თეორიით [24]. ასევე ამავე თავში განხილულია ვექტორული მეზონის დომინანტური მეთოდი.

**მეხუთე** თავში განხილულია დროზე დამოკიდებული ფუნქციები, მეზონის პროპაგატორი დამეზონით დილეკტონის წარმოქმნის სიგანე. კერძოდ აქ განხილულია მეზონის საკუთარი ენერჯის ბრეიტ-ვიგნერის მეთოდით. დისონის განტოლებას აქვს სახე

# 1 ვექტორული მეზონის დომინანტობის (VMD) მოდელი

ამ თავში ჩამოყალიბებულია ვექტორული მეზონის კვეთის განმარტება და სიმკვრივის მატრიცის განმარტება ვექტორული მეზონების დომინანტობის მოდელის მიხედვით.



განვიხილოთ ვექტორული მეზონის (საუბარი გვექნება რო-მეზონზე) ინკლუზიური დაბადების კვეთა.

$$p_A(\mathbf{P}_A M_A) + p_B(\mathbf{P}_B M_B) \rightarrow \rho(\mathbf{k} M_\rho) + X$$

სადაც  $p_A(\mathbf{P}_A M_A)$  და  $p_B(\mathbf{P}_B M_B)$  დამცემი და სამიზნე ნაწილაკების (ამ შემთხვევაში პრიტენების) მახასიატებელი პარამეტრებია, კერძოდ  $\mathbf{P}_A, M_A$  და  $\mathbf{P}_B, M_B$  ნაწილაკების იმპულსი და მაგნიტური კვანტური რიცხვის.  $\mathbf{k}$  და  $M_\rho$  არის  $\rho$  მეზონის იმპულსი და მაგნიტური კვანტური რიცხვებია,

$A$  და  $B$  პროტონების მასათა ცენტრის სისტემაში  $(\mathbf{P}_A)_Z = -(\mathbf{P}_B)_Z = P$  ხოლო  $\mathbf{k}$  ვექტორი დევს  $XZ$  სიბრტყეში.

$$p_A + p_B \rightarrow \rho^0 X \rightarrow l^- l^+ X$$

ამ რეაქციისათვის **VMD** მოდელის მიხედვით, დიფერენციალური კვეთა ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}^{MM'}}{dk_T^2 dy} = \frac{m_N^2}{(4\pi)^2 P_S^{\frac{1}{2}}} \frac{1}{6(2b^2)} \Gamma_{n\bar{n} \rightarrow V}^{MM'} \sum_{n=u,d} \left[ \frac{2m_1 m_2}{m_V^2} \int d^2 \mathbf{q}_{1T} \times \right. \quad (1)$$

$$\left. \int d^2 \mathbf{q}_{2T} \delta(\mathbf{k}_T - \mathbf{q}_{1T} - \mathbf{q}_{2T}) \left( f_{n/A}(x_1, \mathbf{q}_{1T}) f_{\bar{n}/B}(x_2, \mathbf{q}_{2T}) + (1 \leftrightarrow 2) \right) \right],$$

სადაც  $\mathbf{k}_T$  არის  $\rho^0$  მეზონის განივი იმპულსი,  $1/3$  მამრავლი დაკავშირებულია ფერის კვანტურ რიცხვთან,  $1/2$  იზოტროპულ სტრუქტურასთან.

$$x_1 = \frac{k_0 + \mathbf{k}_Z}{2P} \quad \text{და} \quad x_2 = \frac{k_0 - \mathbf{k}_Z}{2P}, \quad (2)$$

სადაც  $k^0 = (m_V^2 + \mathbf{k}_T^2 + \mathbf{k}_Z^2)^{1/2}$ ,  $\frac{2m_1m_2}{m_V^2}$  წვერი მიიღება ფაზური სივრცის განმარტებიდან  $(\frac{m_1d\mathbf{q}_1}{q_1^0}, \frac{m_2d\mathbf{q}_2}{q_2^0})$ .  $\Gamma_{n\bar{n}\rightarrow V}^{MM'}$  ცხადი სახეა

$$\Gamma_{n\bar{n}\rightarrow V}^{MM'} = \epsilon_V^\mu(\mathbf{k}, M)\epsilon_V^{\nu*}(\mathbf{k}, M')\langle q_1, S_1, n; q_2, S_2, \bar{n}|J_{V\mu}|0\rangle\langle 0|J_{V\nu}|q_1, S_1, n; q_2, S_2, \bar{n}\rangle \quad (3)$$

$\mathbf{q}$ ,  $s$  და  $n$ -ით აღნიშნულია კვარკების იმპულსები, სპინები და არომატი,  $\epsilon_V^{\mu,\nu}(\mathbf{k}, M)$  არის  $V$  ვექტორული მეზონის პოლარიზაციის ფუნქცია.  $J_V(x) = (\partial_\nu\partial^\nu + m_V^2)\phi_V(x)$  წარმოადგენს ნაკადის ოპერატორს.

განვიხილოთ ვექტორული მეზონის შექმნის და ელექტრონ პოზიტრონულ წყვილად დაშლის  $\bar{q}q \rightarrow V \rightarrow l l^+$  პროცესი. კვეთას აქვს სახე

$$d\sigma_{\bar{n}n\rightarrow V\rightarrow ll^+}^{\bar{M}M'MM'} = \frac{4\pi}{3}\Gamma_{n\bar{n}\rightarrow V}^{\bar{M}M'}\frac{1}{(P_l + P_{l^+})^2 - m_V^2}\Gamma_{V\rightarrow ll^+}^{MM'} \quad (4)$$

სადაც  $m_V$  არის ვექტორული მეზონის მასა.  $P_l$  და  $P_{l^+}$  ელექტრონის და პოზიტრონის 4-იმპულსებია.  $\Gamma_{V\rightarrow ll^+}^{MM'}$  ისევე განიმარტება, როგორც (3).

$p_A + p_B \rightarrow VX$  პროცესის შესაბამისი კვეთის განმარტებაში, პარტონების განაწილების ფუნქცია  $f_{n/A}$  განისაზღვრება TMD PDF (განივი იმპულსის დამოკიდებულება პარტონული განაწილების ფუნქციაზე) მოდელის მიხედვით და აქვს სახე

$$f_{n,A}(x, \mathbf{q}_T) = f_{n,A}(x)\frac{e^{-\frac{q_T^2}{2b^2}}}{2b^2} \quad (5)$$

და

$$f_{\bar{n},B}(x, \mathbf{q}_T) = f_{\bar{n},B}(x)\frac{e^{-\frac{q_T^2}{2b^2}}}{2b^2} \quad (6)$$

სადაც  $\mathbf{q}_T$  არის კვარკის განივი იმპულსი.

წვეროში დენის მატრიცულ ელემენტს  $\bar{q}q \rightarrow V$  აქვს სახე

$$\langle q_1, S_1, n; q_2, S_2, \bar{n}|J_\mu(0)|0\rangle = g_V^{\bar{n}n}\bar{v}(\mathbf{q}_2)\gamma^\mu u(\mathbf{q}_1) + g_T^{\bar{n}n}\bar{v}(\mathbf{q}_2)\frac{i\sigma_{\mu\nu}(q_1 + q_2)^\nu}{m_1 + m_2}u(\mathbf{q}_1) \quad (7)$$

$q_1$  და  $q_2$  კვარკების 4-იმპულსებია.  $\bar{v}(\mathbf{q}_2)$ ,  $u(\mathbf{q}_1)$  არის დირაკის სპინორები,  $\gamma^\mu$  დირაკის გამა მატრიცა,  $\sigma_{\mu\nu}$  მატრიცას აქვს შემდეგი სახე  $\sigma_{\mu\nu} = \frac{1}{2}(\gamma_\mu\gamma_\nu - \gamma_\nu\gamma_\mu)$ .

წვეროს განმარტებაში  $q_1 + q_2$  არის  $V$  მეზონის მასა  $(q_1 + q_2)^2 = m_V^2$ .  $g_V^{\bar{n}n}$  და  $g_T^{\bar{n}n}$  არის კაპლინგის კონსტანტები, რომლებსაც  $u$  და  $d$  კვარკებისათვის აქვს შემდეგი სახე

$$g_V^{\bar{u}u} = g_V e_u; \quad g_T^{\bar{u}u} = g_T e_u \quad \text{და} \quad g_V^{\bar{d}d} = g_V e_d; \quad g_T^{\bar{d}d} = g_T e_d \quad (8)$$

სადაც  $e_u = \frac{2}{3}$  და  $e_d = -\frac{1}{3}$  კვარკების მუხტებია.

## 1.1 სიმკვრივის მატრიცა

სიმკვრივის მატრიცის განსაზღვრის მიზნით დიფერენციალური კვეთი ჩავწეროთ  $\rho$ - მეზონის საკუთარ სისტემაში, სადაც  $\mathbf{k}^* = 0$  და  $\mathbf{q}_1^* = -\mathbf{q}_2^*$ , (ფიქტით აღნიშნულია შესაბამისი სიდიდეები  $V$ -მეზონის უძრავ სისტემაში)

$$\mathbf{q}_i^* = \mathbf{q}_i + \frac{\mathbf{k}}{m_V} \left[ \frac{(\mathbf{q}_i \mathbf{k})}{m_V + k^0} - q_i^0 \right]. \quad i = 1, 2 \quad (9)$$

ენერგია-იმპულსის შენახვის კანონი  $V$ -მეზონის უძრავ სისტემაში, გვაძლევს შემდეგ პირობებს  $m_V = q_1^{*0} + q_2^{*0}$  და  $\mathbf{q}_1^* + \mathbf{q}_2^* = 0$ , კვარკების იმპულსის სიდიდის კვადრატისათვის მივიღებთ

$$|\mathbf{q}^*|^2 = \frac{(m_V^2 - (m_1 + m_2)^2)(m_V^2 - (m_1 - m_2)^2)}{4m_V^2} \quad (10)$$

ენერგიის მნიშვნელობა შესაბამისი კვარკებისათვის ტოლია

$$q_{1,2}^{*0} = \frac{m_V^2 \pm m_1^2 \mp m_2^2}{2m_V}. \quad (11)$$


მოსახერხებელია გადავიდეთ სფერულ კოორდინატთა სისტემაზე, რომელშიც კვარკების იმპულსის ვექტორი ტოლია (სურვ)

$$\mathbf{q}^* \equiv \mathbf{q}_1^* = |\mathbf{q}^*| (\sin \alpha^* \cos \beta^*, \sin \alpha^* \sin \beta^*, \cos \alpha^*) \quad (12)$$

სადაც

$$\cos \alpha^* = \frac{\mathbf{q}_1 z}{|\mathbf{q}^*|} - \frac{\mathbf{k}_z}{|\mathbf{q}^*|} \frac{q_1^0 + q_2^0}{m_V + k^0}; \quad \tan \beta^* = \frac{\mathbf{q}_1 y}{\mathbf{q}_{1x} - \mathbf{k}_x \frac{q_1^0 + q_1^{*0}}{m_V + k^0}}. \quad (13)$$

$\mathbf{q}_1^* = -\mathbf{q}_2^*$ , განვიხილოთ შემდეგი წევრი



(სურვ)  $\mathbf{q}_1^*$  და  $\mathbf{q}_2^*$  ვექტორული მეზონის საკუთარ სისტემაში

$$\bar{v}(\mathbf{q}_2^*) \frac{i\sigma_{\mu\nu}(\mathbf{q}_1^* + \mathbf{q}_2^*)^\nu}{m_1 + m_2} u(\mathbf{q}_1^*) = -\bar{v}(\mathbf{q}_2^*) \gamma^\mu u(\mathbf{q}_1^*) + \bar{v}(\mathbf{q}_2^*) \frac{(\mathbf{q}_1^* + \mathbf{q}_2^*)_\mu}{m_1 + m_2} u(\mathbf{q}_1^*). \quad (14)$$

კვება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\sigma_{\bar{n}n}^{MM'} = e_n^2 \Sigma^{MM'}, \quad (15)$$

სადაც,  $\Sigma^{MM'}$  აქვს შემდეგი სახე

$$\begin{aligned} \Sigma^{MM'} = \epsilon^\mu(0, M) \epsilon^{\nu*}(0, M') Tr & \left[ (g_V - g_T)^2 \gamma_\mu \frac{(p_1^* \gamma) + m_1}{2m_1} \gamma_\nu \frac{(p_2^* \gamma) - m_2}{2m_2} \right. \\ & + g_T^2 \frac{(p_1^* - p_2^*)_\mu}{m_1 + m_2} \frac{(p_1^* - p_2^*)_\nu}{m_1 + m_2} \frac{(p_1^* \gamma) + m_1}{2m_1} \frac{(p_2^* \gamma) - m_2}{2m_2} \\ & + g_T (g_V - g_T) \left( \gamma_\mu \frac{(p_1^* - p_2^*)_\nu}{m_1 + m_2} \frac{(p_1^* \gamma) + m_1}{2m_1} \frac{(p_2^* \gamma) - m_2}{2m_2} \right. \\ & \left. \left. + \frac{(p_1^* - p_2^*)_\mu}{m_1 + m_2} \frac{(p_1^* \gamma) + m_1}{2m_1} \gamma_\nu \frac{(p_2^* \gamma) - m_2}{2m_2} \right) \right] \end{aligned} \quad (16)$$

$p^*$  არის 4-ვექტორი და  $(p^* \gamma) = p_\mu^* \gamma^\mu$ .

მარტივი გამოთვლების შედეგად  $\Sigma^{MM'}$  სიდიდისათვის მივიღებთ

$$\frac{2m_1 m_2}{m_V^2} \Sigma^{MM'} = (g_V - g_T)^2 \frac{m_V^2 - (m_1 - m_2)^2}{m_V^2} [\mathcal{D}^{MM'} - \mathcal{D}Re(\mathcal{A}^{MM'})] \quad (17)$$

$\frac{2m_1m_2}{m_V^2}$  მამრავლი აღებულია კვეთის განმარტებიდან,  $\mathfrak{D}^{MM'}$  აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს

$$\mathfrak{D}^{MM'} = \begin{cases} 1 & \text{როდესაც } M = M' \\ 0 & \text{როდესაც } M \neq M' \end{cases} . \quad (18)$$

$\mathcal{A}^{MM'}$  ამპლიტუდის ცხადი სახეა

$$\mathcal{A}^{MM'} = \begin{pmatrix} \frac{\sin^2(\alpha^*)}{2} & -\frac{\sin(2\alpha^*)}{2\sqrt{2}}e^{-i\beta^*} & -\frac{\sin^2(\alpha^*)}{2}e^{2i\beta^*} \\ -\frac{\sin(2\alpha^*)}{2\sqrt{2}}e^{i\beta^*} & \cos^2(\alpha^*) & \frac{\sin(2\alpha^*)}{2\sqrt{2}}e^{i\beta^*} \\ -\frac{\sin^2(\alpha^*)}{2}e^{-2i\beta^*} & \frac{\sin(2\alpha^*)}{2\sqrt{2}}e^{-i\beta^*} & \frac{\sin^2(\alpha^*)}{2} \end{pmatrix}. \quad (19)$$

$\mathfrak{D}$ -კვეთის განმარტებაში ტოლია

$$\mathfrak{D} = \frac{m_V^2 - (m_1 + m_2)^2}{m_V^2} \left[ \frac{g_T^2}{(g_V - g_T)^2} \cdot \frac{m_V^2 - (m_1 + m_2)^2}{(m_1 + m_2)^2} - \frac{2g_T}{g_V - g_T} - 1 \right]. \quad (20)$$

ამ ყველაფრის მეშვეობით კვეთისათვის მივიღებთ

$$\frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}^{MM'}}{d\mathbf{k}_X^2 dy} = \frac{1}{6(4\pi)^2} \frac{m_N^2}{P_S^{1/2}} \frac{1}{2b^2} d \langle \Sigma^{MM'} \rangle \quad (21)$$

სადაც

$$\begin{aligned} \langle \Sigma^{MM'} \rangle = & \frac{1}{d} \int d^2\mathbf{q}_{2T} \left( e_u^2 f_{\frac{A}{u}}(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \cdot f_{\frac{B}{\bar{u}}}(x_2, \mathbf{q}_{2T}) \right. \\ & \left. + e_d^2 f_{\frac{A}{d}}(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \cdot f_{\frac{B}{\bar{d}}}(x_2, \mathbf{q}_{2T}) + (1 \leftrightarrow 2) \right) \Sigma^{MM'} \end{aligned} \quad (22)$$

$$\begin{aligned} d = & \int d^2\mathbf{q}_{2T} \left( e_u^2 f_{\frac{A}{u}}(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \cdot f_{\frac{B}{\bar{u}}}(x_2, \mathbf{q}_{2T}) + e_d^2 f_{\frac{A}{d}}(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \right. \\ & \left. \cdot f_{\frac{B}{\bar{d}}}(x_2, \mathbf{q}_{2T}) + (1 \leftrightarrow 2) \right). \end{aligned} \quad (23)$$

სიმკვრივის მატრიცის ელემენტს აქვს სახე

$$\rho_{MM'} = \left( \frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}^{MM'}}{dk_X^2 dy} \right) \cdot \left( \frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}}{dk_X^2 dy} \right)^{-1} \quad (24)$$

სადაც

$$\frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}}{dk_X^2 dy} = \sum_M \frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow VX}^{MM'}}{dk_X^2 dy}. \quad (25)$$

სიმკვრივის მატრიცის ელემენტებისათვის მივიღებთ

$$\rho_{00} = \frac{\mathfrak{D} \langle \cos^2(\alpha^*) \rangle + 1}{\mathfrak{D} + 3} \quad (26)$$

$$\rho_{11} = \rho_{-1-1} = \frac{1}{2} \frac{\mathfrak{D} \langle \sin^2(\alpha^*) \rangle + 2}{\mathfrak{D} + 3} \quad (27)$$

$$Re\rho_{1-1} = \frac{1}{2} \langle \sin^2(\alpha^*) \cos(2\beta^*) \rangle > \frac{\mathfrak{D}}{\mathfrak{D} + 3} \quad (28)$$

$$Re\rho_{10} = \frac{1}{2} \langle \sin(2\alpha^*) \cos(\beta^*) \rangle > \frac{\mathfrak{D}}{\mathfrak{D} + 3} \quad (29)$$

$$Im\rho_{1-1} = \frac{1}{2} \langle \sin^2(\alpha^*) \sin(2\beta^*) \rangle > \frac{\mathfrak{D}}{\mathfrak{D} + 3} \quad (30)$$

$$Im\rho_{1-1} = \frac{1}{2\sqrt{2}} \langle \sin(2\alpha^*) \sin(\beta^*) \rangle > \frac{\mathfrak{D}}{\mathfrak{D} + 3}. \quad (31)$$

სიმკვრივის მატრიცა  $\rho_{MM'}$  იზოტროპიული განაწილებისათვის იღებს შემდეგ მნიშვნელობებს

$$\rho_{MM'} = \begin{cases} \frac{1}{3}, & \text{როდესაც } M = M' \\ 0, & \text{როდესაც } M \neq M' \end{cases} \quad (32)$$

კერძოდ, როდესაც  $\mathfrak{D} = 0$  მაშინ სიმკვრივის მატრიცის ეს მნიშვნელობები მართებულია.

განვიხილოთ კვარკის მასის ის მნიშვნელობები რომლებიც დააკმაყოფილებენ პირობას  $\mathcal{D} = 0$ .

1.  $m_1$  და  $m_2$  ისე შევარჩიოთ, რომ  $|\mathbf{q}^*|^2 = 0$ . ეს პირობა შესრულდება მაშინ როდესაც

$$m_1 + m_2 = m_V \quad \text{ან} \quad m_1 = m_2 = m_V/2. \quad (33)$$

2.  $g_T/g_V$  თუ დააკმაყოფილებს პირობას,

$$\frac{g_T^2}{(g_V - g_T)^2} \cdot \frac{m_V^2 - (m_1 + m_2)^2}{(m_1 + m_2)^2} - \frac{2g_T}{g_V - g_T} - 1 = 0. \quad (34)$$

ამ განტოლების მეშვეობით ვპოულობთ კავშირს  $g_T$  და  $g_V$  შორის,

$$g_T = g_V \frac{m_1 + m_2}{m_V} \quad \text{საიდანაც ვღებულობთ} \quad (g_V - g_T)^2 = g_V^2 \frac{(m_V - m_1 - m_2)^2}{m_V^2}.$$

კვარკების მცირე მნიშვნელობისათვის  $m_1$  და  $m_2 \sim 5 - 10 \text{ MeV}$  მივიღებთ მცირე მნიშვნელობას  $g_T$ . მაგრამ დენის ვექტორის მატრიცული ელემენტის განმარტებაში  $g_T$  არარის უმნიშვნელო. დენის ვექტორის მატრიცული ელემენტის განმარტებაში  $g_T/(m_1 + m_2)$  უნდა შეიცვალოს  $g_V/m_V$ .

თუ გამოვიყენებთ პირობას  $\mathcal{D} = 0$  მაშინ დიფერენციალური კვათისათვის მივირებთ

$$\frac{d\sigma_{p_A+p_B \rightarrow V X}^{MM'}}{d\mathbf{k}_X^2 dy} = \frac{(g_V - g_T)^2}{2(4\pi)^2} \frac{m_N^2}{P_S^{1/2}} \frac{1}{2b^2} \int d^2\mathbf{q}_{2T} \left( e_{uA}^2 f_{\bar{u}}^u(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \right. \\ \left. \cdot f_{\bar{u}}^u(x_2, \mathbf{q}_{2T}) + e_{dA}^2 f_{\bar{d}}^d(x_1, \mathbf{k}_X - \mathbf{q}_{2T}) \cdot f_{\bar{d}}^d(x_2, \mathbf{q}_{2T}) + (1 \leftrightarrow 2) \right), \quad (35)$$

ვხედავთ, რომ ეს გამოსახულება დამოკიდებულია მხოლოდ  $g_V, g_T, m_1$  და  $m_2$  სიდიდეებზე.

კერძოდ, როდესაც  $m_1$  და  $m_2 \sim 5 - 10 \text{ MeV}$  დიფერენციალური კვთა იგივეა რაც  $(g_V - g_T)^2 \Rightarrow g_V^2$ .

განვიხილოთ შემთხვევა როდესაც, სიმკვრივის მატრიცა იზოტროპულია

$$\rho_{00} = \rho_{-1-1} = \rho_{11} = \frac{1}{3}. \quad (36)$$


ამ პირობას მივიღებთ თუ

$$\langle \cos^2(\alpha^*) \rangle = \frac{1}{2} \langle \sin^2(\alpha^*) \rangle = \frac{1}{3}. \quad (37)$$

ამ შემთხვევაში სიმკვრივის მატრიცის არადიაგონალური ელემენტები არანულოვანია  $\rho_{MM'} \neq 0$  და განაწილება არის ანიზოტროპიული.

## 2 დიფერენციალური კვეთის განმარტება

პროტონ-პროტონული ინკლუზიური რეაქციის მაგალითზე, განვიხილოთ ვექტორული მეზონების დაშლა  $A + B \rightarrow X + V \rightarrow Xef$



ნაწილაკების მახასიათებელი ფიზიკური სიდიდეები შესაბამისად არიან:  $A$  – ნაწილაკის  $(P_A, S_A, M_A)$ ,  $B$  – ნაწილაკის  $(P_B, S_B, M_B)$ ,  $X$  – ნაწილაკი  $(P_X, S_X, M_X)$ ,  $V$  – ნაწილაკის  $(P_V, S_V, M_V)$ ,  $e$  – ნაწილაკის  $(P_e, S_e, M_e)$  და  $f$  – ნაწილაკის  $(P_f, S_f, M_f)$ . სადაც  $P$ - არის იმპულსი,  $S$ -არის სპინი და  $M$  -არის მაგნიტური მომენტი.

დიფერენციალური კვეთის განსაზღვრისათვის, ვისარგებლოთ დროზე დამოკიდებული შეშფოთების თეორიით.

გვაქვს შესაბამისობა  $\langle m | \hat{H} | l \rangle \sim T(V \rightarrow ef)$ . ამიტომ ვწერთ,  $V$  ნაწილაკის  $e$   $f$  ნაწილაკებად დაშლის  $C_{ef}$  კოეფიციენტს [6],[11]

$$C_{ef} = T(V \rightarrow ef) \times \frac{1}{E_V - E_e - E_f - im\Gamma/2} \quad (38)$$

$\Gamma$  არის  $V$  ნაწილაკის დაშლის სიგანე.

თუ გადავალთ რელატივისტურ განხილვაზე და პროცესს განვიხილავთ  $V$  ნაწილაკის მასათა ცენტრის სისტემაში, ვისარგებლოთ შემდეგი თანაფარდობებით

$$E_e + E_f = \sqrt{s_V} \quad E_V = m_V. \quad (39)$$

სრული პროცესის აღსაწერად შესაბამისი ამპლიტუდა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$T(AB \rightarrow Xef) = T(AB \rightarrow XV) \phi_V(s_V) T(V \rightarrow ef). \quad (40)$$

გადასვლის ამპლიტუდის ამ განმარტებაში  $\phi_V$  სიდიდეს აქვს შემდეგი სახე

$$\phi_V = \frac{1}{2m} \left( \frac{1}{m + \sqrt{s} - i\Gamma/2} + \frac{1}{m - \sqrt{s} - i\Gamma/2} \right) \quad (41)$$

ანუ

$$\phi_V = \frac{1}{m^2 - s - im\Gamma} \quad (42)$$

ეს არის  $V$  ნაწილაკის რელატივისტური პროპაგატორი, რომელშიც  $i\epsilon$  შეცვლილია  $im\Gamma$  სიდიდით.

პროცესის შესაბამისი დიფერენციალური კვეთაა

$$d\sigma(AB \rightarrow Xef) = \alpha |T(AB \rightarrow Xef)|^2 dLIPS(s; P_X, P_f, P_e) \quad (43)$$

აქ  $dLIPS(s; P_X, P_f, P_e)$  წარმოადგენს ლორენც ინვარიანტულ ფაზურ სივრცეს, რომლის ცხადი სახეა

$$dLIPS(s; P_X, P_f, P_e) = (2\pi)^4 \delta(P_i - P_X - P_e - P_f) d\mathbf{p}_X d\mathbf{p}_e d\mathbf{p}_f \quad (44)$$

და

$$P_i = P_A + P_B = \sqrt{s} . \quad (45)$$

შესაძლებელია სრული დიფერენციალური კვეთის წარმოდგენა ცალკეული პროცესების შესაბამისი დიფერენციალური კვეთების ნამრავლის სახით. ამისათვის საჭიროა ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცის წარმოდგენა ცალკეული პროცესების შესაბამისი ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცეების ნამრავლის სახით. ვისარგებლოთ 4-იმპულსის შენახვის კანონით

$$P_V = P_e + P_f , \quad (46)$$

$V$  ნაწილაკის მასათა ცენტრის სისტემაში  $P_V^2 = s_V$ , და დირაკის დელტა ფუნქციის თვისებით  $1 = dP_V \delta(P_V - P_e - P_f)$ .

ჩავსვათ ასე განმარტებული ერთეულოვანი ოპერატორი ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცის განმარტებაში

$$dLIPS(s; P_X, P_f, P_e) = (2\pi)^4 \delta(P_i - P_X - P_e - P_f) dP_V \delta(P_V - P_e - P_f) d\mathbf{p}_X d\mathbf{p}_e d\mathbf{p}_f \quad (47)$$

ამ გამოსახულებიდან კი შეგვიძლია გამოვყოთ  $V$  ნაწილაკის დაშლის პროცესის შესაბამისი ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცე, რომელსაც აქვს შემდეგი სახე

$$dLIPS(s_V; P_f, P_e) = (2\pi)^4 \delta(P_V - P_e - P_f) d\mathbf{p}_e d\mathbf{p}_f . \quad (48)$$

$A + B \rightarrow X + V$  პროცესის შესაბამისი ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცის გამოყოფის მიზნით განვმარტოთ ოთხ-იმპულსის დიფერენციალი დირაკის დელტა ფუნქციის მეშვეობით

$$dP_V = dP_V \delta(P_V^2 - s_V) ds_V = (2\pi)^3 d\mathbf{p}_V ds_V \quad (49)$$

ამ განმარტების მიხედვით, სრული ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცეს ექნება შემდეგი სახე

$$dLIPS(s; P_X, P_f, P_e) = (2\pi)^3 \delta(P_i - P_X - P_V) d\mathbf{p}_X d\mathbf{p}_V ds_V dLIPS(s_V; P_f, P_e) \quad (50)$$

სადაც ჩანს  $A + B \rightarrow X + V$  პროცესის შესაბამისი ლორენც ინვარიანტული ფაზური სივრცე

$$dLIPS(s; P_X, P_V) = (2\pi)^4 \delta(P_i - P_X - P_V) d\mathbf{p}_X d\mathbf{p}_V . \quad (51)$$

მივიღეთ ჩვენთვის სასურველი შედეგი

$$dLIPS(s; P_X, P_f, P_e) = (2\pi)^{-1} dLIPS(s; P_X, P_V) dLIPS(s_V; P_f, P_e) ds_V . \quad (52)$$

დიფერენციალური კვების (43) განმარტებაში გავითვალისწინოთ (40) და (52) ტოლობები. მივიღებთ

$$\begin{aligned} & d\sigma(AB \rightarrow Xef) \\ &= \alpha(2\pi)^{-1} |T(AB \rightarrow XV)\phi_V(s_V)T(V \rightarrow ef)|^2 dLIPS(s; P_X, P_V) \times \\ & \quad \times dLIPS(s_V; P_f, P_e) ds_V \\ &= \frac{\alpha}{2\pi} |T(AB \rightarrow XV)T(V \rightarrow ef)|^2 \frac{1}{(m_V^2 - s_V)^2 - (m_V \Gamma_V)^2} \times \\ & \quad \times dLIPS(s; P_X, P_V) dLIPS(s_V; P_f, P_e) ds_V \end{aligned} \quad (53)$$

თუ არაა ცნობილი A,B და V ნაწილაკების პოლარიზაცია , მიღებული დიფერენციალური კვეთა უნდა გავასაშუალოთ საწყისი სპინებით და ავჯამოთ V ნაწილაკის M მაგნიტური კვანტური რიცხვით

$$d\sigma(AB \rightarrow Xef) = \frac{\alpha}{2\pi} \times \frac{1}{2S_A + 1} \times \frac{1}{2S_B + 1} \left| \sum_M T(AB \rightarrow XV_M) T(V_M \rightarrow ef) \right|^2 \times \frac{1}{(m_V^2 - s_V)^2 - (m_V \Gamma_V)^2} dLIPS(s; P_X, P_V) dLIPS(s_V; P_f, P_e) ds_V. \quad (54)$$

მაშასადამე შეგვიძლია პროცესის დიფერენციალური კვეთა წარმოვადგინოთ შემადგენელი პროცესების დიფერენციალური კვეთების ნამრავლის სახით

$$d\sigma(AB \rightarrow Xef) = \frac{\alpha}{2\pi} \times \frac{1}{2S_A + 1} \times \frac{1}{2S_B + 1} d\sigma(AB \rightarrow XV) \times \frac{1}{(m_V^2 - s_V)^2 - (m_V \Gamma_V)^2} d\sigma(V \rightarrow ef) ds_V. \quad (55)$$

განვიხილოთ შემდეგი ინტეგრალი

$$\int dLIPS(s_V; P_f, P_e) \sum_{\lambda_e \lambda_f} T^*(V_M \rightarrow ef) T(V_{M'} \rightarrow ef) \quad (56)$$

აქ  $T$  მატრიცას აქვს სახე  $\langle p, \lambda_e \lambda_f, \vartheta | T | M \rangle$ , სადაც  $\lambda_e$  და  $\lambda_f$  არის შესაბამისად  $e$  და  $f$  ნაწილაკების სპირალობები. თუ ამ გამოსახულებას ვაინტეგრებთ კუთხეებით  $\langle p, \lambda_e \lambda_f, \vartheta | T | M \rangle = e^{i\varphi(M-\lambda)} d_{M\lambda}^S(\vartheta) T_S(\lambda_e, \lambda_f)$

$\lambda = \lambda_e - \lambda_f$ ,  $T_S$  არის სპინებით გასაშუალოებული მატრიცა. დაშლის სიგანეს აქვს სახე

$$\begin{aligned} m_V \Gamma(V \rightarrow ef) &= \frac{1}{2} \int dLIPS(s_V; P_f, P_e) \sum_{\lambda_e \lambda_f} |T(V_M \rightarrow ef)|^2 = \\ &= \frac{1}{2} \int \frac{1}{4\pi^2 4E_e E_f} d\mathbf{p}_e d\mathbf{p}_f \delta(\sqrt{s_V} - E_e - E_f) \delta(\mathbf{p}_e + \mathbf{p}_f) \sum_{\lambda_e \lambda_f} |T(V_M \rightarrow ef)|^2 = \\ &= \frac{1}{2} \int \frac{pdE d\Omega}{16\pi^2 E} \delta(\sqrt{s_V} - E_e - E_f) \sum_{\lambda_e \lambda_f} |T(V_M \rightarrow ef)|^2 = \\ &= \frac{1}{2} \frac{p}{16\pi^2 \sqrt{s_V}} \int d\Omega |d_{M\lambda}^S(\vartheta)|^2 \sum_{\lambda_e \lambda_f} |T_S(V_M \rightarrow ef)|^2 \end{aligned} \quad (57)$$

ვისარგებლოთ  $d_{M\lambda}^S(\vartheta)$  ფუნქციების ნორმირების შემდეგი პირობით

$$\int_{-\pi}^{\pi} \sin \theta d\theta d_{M\lambda}^S d_{M\lambda}^{S'} = \frac{2}{2s+1} \delta_{SS'} \quad (58)$$

მაშინ (56) გამოსახულებისათვის მივიღებთ

$$\int dLIPS(s_V; P_f, P_e) \sum_{\lambda_e \lambda_f} T^*(V_M \rightarrow ef) T(V_{M'} \rightarrow ef) = \delta_{MM'} m_V \Gamma(V_M \rightarrow ef). \quad (59)$$

ჩავსვათ (59)-ი (55)-ში

$$d\sigma(AB \rightarrow cef) = \frac{ds_V d\sigma(AB \rightarrow XV) m_V \Gamma(V \rightarrow ef)}{\pi((m_V^2 - s_V)^2 - (m_V \Gamma_V)^2)}. \quad (60)$$

## 2.1 სიმკვრივის მატრიცა

დავუშვათ ნაწილაკის მდგომარეობების შესაბამისი ტალღური ფუნქციებია

$$\psi_1, \psi_2, \psi_3, \psi_4, \psi_5, \psi_6, \dots$$

როგორც ცნობილია, თუ ნაწილაკს შეუძლია იმყოფებოდეს მოცემულ მდგომარეობებში, მაშინ სუპერპოზიციის პრინციპის ძალით მას შეუძლია იმყოფებოდეს

$$\psi = \sum_I C_i(t) \psi_i = \sum_I C_i(t) |i\rangle \quad (61)$$

მდგომარეობაშიც. ცხადია  $C_i(t)$  არის ნაწილაკის  $|i\rangle$ -ური მდგომარეობის შესაბამისი ალბათობის ამპლიტუდა. ალბათობის სიმკვრივე იქნება

$$W = \sum_I |C_i \psi_i|^2 = \sum_{i,k} C_i^*(t) C_k(t) |k\rangle \langle i| \quad (62)$$

ასე განმარტებულ სიმკვრივის მატრიცას ეწოდება სუფთა მდგომარეობის შესაბამისი სიმკვრივის მატრიცა.

ეხლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ნაწილაკის მდგომარეობების აღმწერი ტალღური ფუნქციები გვხვდება გარკვეული ალბათობებით. ამ შემთხვევაში გვაქვს ნარევი მდგომარეობა

$$\psi_1, \psi_2, \psi_3, \psi_4, \psi_5, \psi_6, \dots$$

$$p_1, p_2, p_3, p_4, p_5, p_6, \dots$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ნაწილაკი შეგვხვდება  $\psi_i$  მდგომარეობაში  $p_i$  ალბათობით.

ალბათობის სიმკვრივეს კი ექნება შემდეგი სახე[8]

$$W = \sum_{i,k} p_j C_i^*(j) C_k(j) |k\rangle \langle i| . \quad (63)$$

გამოსახულებას

$$\rho_{ik}(t) = p_j C_i^*(t) C_k(t) \quad (64)$$

ეწოდება სიმკვრივის მატრიცა.

თუ რაიმე  $A$  სიდიდის საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრა გვინტერესებს მაშინ განმარტებების მიხედვით გვექნება

$$\bar{A} = \sum_{i,k} \rho_{ik}(t) A_{ki} = Sp(\rho A). \quad (65)$$

სიმკვრივის მატრიცის რანგი შეიძლება იყოს სასრული და უსასრულო.

$\rho$  მატრიცა არის ერმიტული

$$\rho^+ = \rho, \quad (66)$$

შპურს შეიძლება მოვთხოვოთ პირობა

$$Sp(\rho) = 1. \quad (67)$$

### სიმკვრივის მატრიცის ცვლილება დროის მიხედვით

დავწეროთ შრედინგერის განტოლება და მისი ერმიტულად შეუღლებული[7]

$$i\hbar \frac{d}{dt} |\psi\rangle = \hat{H} |\psi\rangle \quad - \quad i\hbar \frac{d}{dt} \langle\psi| = \langle\psi| \hat{H} \quad (68)$$

ამ განტოლებების გათვალისწინებით დავწეროთ

$$\begin{aligned} \frac{d}{dt}\rho &= \frac{d}{dt}\{|\psi\rangle\langle\psi|\} = \frac{d|\psi\rangle}{dt}\langle\psi| + |\psi\rangle\frac{d\langle\psi|}{dt} = -\frac{i}{\hbar}\hat{H}|\psi\rangle\langle\psi| + |\psi\rangle\frac{i}{\hbar}\langle\psi|\hat{H} = \\ &= -\frac{i}{\hbar}(\hat{H}\rho - \rho\hat{H}) = -\frac{i}{\hbar}[\rho, \hat{H}] \end{aligned} \quad (69)$$

ვანტეგროთ ეს განტოლება დროით, მივიღებთ

$$\rho(t) = \rho(0) - \frac{i}{\hbar} \int_0^t ds [\rho(s), \hat{H}(s)]. \quad (70)$$

შემოვიღოთ დროში ევოლუციის ოპერატორი

$$U = e^{-\frac{i}{\hbar} \int_0^t ds \hat{H}(s)}, \quad (71)$$

რომლის მეშვეობითაც სიმკვრივის მატრიცის დროში ევოლუცია, ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\rho(t) = |\psi(t)\rangle\langle\psi(t)| = U|\psi(0)\rangle\langle\psi(0)|U^\dagger = U\rho(0)U^\dagger. \quad (72)$$

ჩვენ მიერ განხილული  $AB \rightarrow VX \rightarrow Xef$  პროცესისათვის შემოყავთ სიმკვრივის მატრიცა

